უმაღლესი განათლება – დასაქმების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი

ნინო ბერიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

დღევანდელი მსოფლიოსთვის, უმთავრეს სამოქმედო გეგმას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს 2030 წლისთვის, ნებისმიერ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნაში, ეკონომიკური ზრდის ისეთი ფორმის მიღწევას, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მოკლე, საშუალო და რაც მთავარია ხანგრძლივი ვადით. დასახულ მიზნებს შორის, მნიშვნელოვანია ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდა, რომელთა მიღწევაც შეუძლებელია ეფექტური, ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის გარეშე. ქვეყნების მთავრობები, ახორციელებენ ინვისტიციებს. ასევე, საზოგადოება, შეზღუდული რესურსების პირობებში, ეწევა გარკვეულ ხარჯებს უმაღლესი განათლების მისაღებად. საქართველოში, როგორც ახალგაზრდა განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნაში, დასაქმების მაჩვენებელი და ეკონომიკის განვითარების ტემპი, გაცილებით დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკის სწორად დაგეგმვა, ხელს შუწყობს დასაქმების ზრდას, ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ქვეყნის მდგრად განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, დასაქმება, ეკონომიკური ზრდა, უმაღლესი განათლება, საგანმანათლებლო პოლიტიკა, კეთილდღეობა.

HIGHER EDUCATION - AN IMPORTANT FACTOR FOR EMPLOYMENT GROWTH

Nino Berishvili

RESUME

In nowadays world, the main plan is to achieve sustainable development goals. This global agenda established, by 2030 for any developed and developing countries to reach form of economic growth that will provide welfare of people for short, medium and mainly long period. In addition to other aims it's important creating worthy working places-increasing employment growth. It is impossible to achieve mentioned goal, without provide effective, high-quality higher education. In order, governments of countries invest to reach this goal. Additionally, society, with limited resources, pays for higher education. In Georgia, as young development country, increasing employment index is much lower, than in developed countries. In our opinion, properly planning educational policy, will be promote high employment growth, human welfare and sustainable development of the country.

Keywords: Sustanable Development, Employment, Economic Growth, Higher Education, Educational Policy.

* * * *

გახშირებული ეკონომიკური კრიზისების ფონზე, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალი გზის გამონახვა, ეკონომიკური ზრდის ტემპის ასამაღლებლად და მდგრადობის შესანარჩუნებლად. არავის აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ქვეყნების განვითარებაში საკვანძო როლს თამაშობს ძლიერი, კარგად განვითარებული განათლების სიტემა. მრავალი საერთაშორისო კვლევის შედეგი ადასტურებს თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული უმაღლესი განათლების გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და ინდივიდების სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 78 ქვეყნის 12 ათასამდე უნივერსიტეტმა, ბოლო ხუთ წლის განმავლობაში, რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის 4.7%-იანი ზრდა განაპირობა[1]. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მეცნიერები მუდმივად ცდილობენ გააუმჯობესონ ინსტრუმენტები განათლების, კერძოდ უმაღლესი განათლების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის გასაზომად და უკუგების მაჩვენებლების გამოსათვლელად, რადგან სამართლიანად მიჩნეულია, რომ უმაღლესი განათლება, არის დააქმების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. იგი, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ინდივიდის ,,ცხოვრების ხარისხს", საზოგადოებაში მის სოციალურ სტატუსს.

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა განათლების სიტემის, მათ შორის უმაღლესი განათლების განვითარების მიმართულებით. ამ პროცესების მთავარი მიზანი იყო არსებული განათლების სისტემის შეცვლა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე და განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია.

საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანია ის, რომ ,,...მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა."[2] განათლების მიმართ ასეთ განწყობას ადასტურებს, ქვეყნის მთლიან ბიუჯეტში განათლების სიტემისთვის გათვალისწინებული თანხების ყოველწლიური ზრდის ტენდენცია, რაც კარგად ჩანს დიაგრამაზე (დიაგრამა №1)

1 https://www.weforum.org/

2 საქართველოს მთავრობი დადგენილება№400, საქართველოს სოცილურ-ეკონომიკური სტრატეგიის ,,სქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე) 2014 წლის 17 ივნისი, ქ,თბილისი.



დიაგრამა №1

2019 წლისთვის ასევე დაგეგმილია განათლების სისტემის დაფინანსების მნიშნელოვანი ზრდა, მათ შორის უმაღლესი განათლების განვითარებაზე დაიხარჯება დაახლოებით 168 მლნ. ₾ლარი, 2018 წელთან შედარებით დაახლოებით 15%-ზე მეტი.

განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, როგორც განვითარებულ ასევე, განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, კვლავ მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია ერთმანეთისაგან. გლობალური რეცესიის ფონზე, ევროპაში ზოგადად იკლებს სამუშაო ადგილების რაოდენობა. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი ახალგაზრდა თაობაში. Aასევე, სახეზეა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეუთავსებლობის ტენდენცია. უნარ-ჩვევების თავსებადობის კუთხით, ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (OCED)[3] შემავალი ქვეყნების მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალოდ, სამუშაო ძალის 59%-ის კომპეტენციები არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა მაჩვენებელი მერყეობს 15%-დან (ჰოლანდიაში) 79%-მდე (ესტონეთში).[4]

ერთ-ერთი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 2013 წლის მდგომარეობით, ,,საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის საკუთარი სპეციალობით დაახლოებით 60% მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ მეოთხედი მუშაობს საკუთარი სპეციალობით".[5] დღეისათვის ამ მონაცემის გადამოწმება ძნელია, რადგან სამწუხაროდ, ნაკლებად ტარდება ფართომასშტაბიანი კვლევები აღნიშნული მიმართულებით და არც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ აქვეყნებს იდენტურ ინფორმაციას.

საქართველოში, ფუნქციონირებს 63 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: 30 უნივერსიტეტი (12 სახელმწიფო და 18 კერძო) 19 სასწავლო უნივერსიტეტი (6 სახელმწიფო და 13 კერძო), 6 კოლეჯი (ერთი სახელმწიფო და 5კერძო) და 8 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უსდ.[6] კურსდამთავრებლთა კმაყოფილების და მათი დასაქმების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ჩვენ შევარჩიეთ ორი სახელმწიფო უსდ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიოვერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამოვიკითხეთ ორივე უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის-,,ბიზნეს ადმინისტრირება" კურსდამთავრებულები. მათ შორის: თსუ-ს (37რესპოდენტი) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (34 რესპოდენტი), 2016 და 2017 წლების კურსდამთავრებულები, სულ 71 რესპოდენტი. ₾კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი, კერძოდ სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით. აღნიშნული მეთოდის უპირატესობად მცირემასშტაბიანი კვლევისას მიჩნეულია ის, რომ იგი უფრო მოსახერხებელია, მონაცემების მოპოვება შესაძლებელია მოკლე დროში, მოითხოვს ნაკლებ დანახარჯებს, არ აქვს მნიშვნელობა რესპოდენტის ტერიტორიულ ადგილმდებარეობას, ინტერვიურებისას შესაძლებელია შეკითხვების თანმიმდევრულობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის დაზუსტება. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სატელეფონო ინტერვიუს ახასიათებს ,,პასუხისმგებლობის მაღალი მაჩვენებელი"[7] (დიაგრამა №2).

როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასაქმების მაჩვენებელი გამოკითხულთა შორის, საკმაოდ მაღალია თსუ-ს კურსდამთავრებულებში და შეადგენს 94.6%-ს. თუმცა, მათ შორის, სპეციალობით დასაქმებულია მხოლოდ 74.3%. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მიუხედავად ამ უსდ-ებში კურსდამთავრებულთა დასაქმების განსხვავებული მაჩვენებლისა, ფაქტობრივად, მათი უმრავლესობა, პირველივე შესაძლებლობისთანავე მზადაა შეიცვლოს დასაქმების

3 ,,ეგთო" —ეკონომიკური განვითარებისა და თანამშომობის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 35 ქვეყანას.

4 European Centre for the Development of Vocational Training, 2010.

5 თ. ბრეგვაძე ,,უმაღლესი განათლების და მეცნიერების სტრატეგიების განვითარება საქართველოში",განათლების დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისოინსტიტუტი, თბილისი,2013.

6 https://www.mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo

7 წულაძე ლ., რაოდენობრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, გვ.20. თბ..,2008.

დიაგრამა №2



ადგილი. ინტერვიუირებისას, კურსადმათავრებულებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად, მათ არ აკმაყოფილებთ შრომის ანაზღაურების ოდენოდა. ასევე, გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი უკმაყოფილოა უსდ-ში მიღებული თეორიული, და უცხო ენის ცოდნით, ასევე ტრანსფერული უნარებით.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ბოლონიის პროცესის ფარგლეში, შეიცვალა უმაღლესი განათლების ძირითადი აქცენტები. დაიწყო ტრადიციული, აკადემიური პროგრამებისთვის დამახასითებელი თეორიული სწავლების ინტეგირება ახალ, ბაზარზე ორიენტირებულ სწავლებასთან, რაც გულისხმობს პროფესიული (დარგობრივი) ცოდნისა და ტრანსფერული (ზოგადი) უნარების სინთეზს. სწორედ ასეთი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მოთხოვნაა დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში. მზარდი, ინტენსიური კონკურენცია, ადგილობრივი თუ საერთაშორისო შრომის ბაზრების გამოწვევები, მაღალ სტანდარტებსა და შესაბამის მოთხოვნებს აწესებს პროცესში ჩართული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მიმართ.

დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ უმაღლესი განათლება ნამდვილად არის ინდივიდების დასაქმების შესაძლებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი, რაც თავის მხრივ იწვევს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სამწუხაროდ, როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ჩვენ ქვეყანაში მწირია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან, უმაღლესი განათლების დაფინანსება დიფერენცირებულია როგორც საფეხურების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), ასევე აკადემიური განათლების მიმართულებების მიხედვით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზები მაინც არ იძლევა საშუალებას, განისაზღვროს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ზემოაღნიშნულ დიფერენცირებულ ჭრილში.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში, დასაქმების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სახელმწიფოს მხრიდან უმაღლეს განათლებაში ინვესტიციების ზრდა და ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა.

განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად, უსდ-ებმა შრომის ბაზარს უნდა შესთავაზონ მაღალკნკურენტული, თანამედროვე, ახალი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი სამუშაო ძალა, რისთვისაც მუდმივად ორიენტირებულნი უნდა იყვნენ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე, სიახლეების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებით და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სართანია ვ., თოქმაზაშვილი მ., მაღლაკელიძე შ.; განათლების ეკონომიკის პრინციპები. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სპუ-ის გამომცემლობა, თბ.2004.

2. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ცოდნის ეკონომიკა და მართვა. სახელმძღვანელო. თბ. 2016,სტუ.

3. ლ. წულაძე, რაოდენობრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, გვ. 20 , თბ. 2008.

4. ბაქრაძე ლ., ლონტი ლ., ჯგერენაია ე., შემდგენელები, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: ბოლონიის პროცესისი ძირითადი დოკუმენტები, კრებული. თბ. 2015.

5. საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად. ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი. მსოფლიო ბანკის დოკუმემტი, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური მართვის განყოფილება . თბ. 2014 დეკემბერი.

6. ამაშუკელი მ., ლეჟავა დ., გუგუშვილი ნ. განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში. პროექტის- ,,უმაღლესი განათლების ამონაგების მიმართება შრომითი ორიენტაციისა და კმაყოფილებასთან საქართველოში" ანგარიში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ. 2017.

7. თ.ბრეგბაძე, უმაღლესი განათლება და დასაქმება.განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ. 2015.

8. საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად. ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი. მსოფლიო ბანკის დოკუმემტი, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური მართვის განყოფილება . თბ. 2014 დეკემბერი.

9. Argentine G., Triventi M., Social Inequality in Higher Education and LabourMarket in a Period of Institutional Reforms: Italy, 1992-2007, Higher Education, Vol. 61,No. 3,Differentiation in higher education and its consequencesforsocial inequality (March 2011), pp. 309-323.

10. Humburg M., Van der Velden R., Verhagen A., The Employability of Higher Education Graduates: The Employers' Perspective, European Commission, 2013.

11. Corominas E., Saurina C. and Villar E., "The Match between University Education and Graduate Labour Market Outcomes (Education-Job Match). An analysis of three graduate cohorts in Catalonia", 2010.

12. European Centre for the Development of Vocational Training, 2010.

13. THE VALUE OF HIGHER EDUCATION: INDIVIDUAL AND SOCIETAL BENEFITS. L. William Seidman Research Institute W. P. Carey School of Business Arizona State University, October, 2005.

14. Hanushek E.A. and Wotsmann ,,Education and Economic Growth" International Encuclopedia of Education. Volume 2, pp. 245-252. Oxford: Elsevier.

15. UNESCO Director-General Irina Bokova speaks at the World Education Forum 2015, Incheon, Korea,2015.